საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ზვარე”

„ზვარე”, ნახშირორჟანგიანი ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული კალციუმ-ნატრიუმიანი სამკურნ. და სუფრის მინერ. წყალი. საბადო მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, მდ. ჩხერიმელის მარცხ. შენაკად ზვარულის ხეობაში, სოფ. ზვარის ტერიტორიაზე. მინერ. წყლის საბადო დაკავშირებულია ზედაცარცული კარბონატული ქანების ძლიერ დანაპრალიანებულ უბანთან, რ-იც დაფარულია ალუვიური ნალექებით. წყალი აღმოაჩინეს 1932. წყლის მარაგი (დებიტი) შეფასებით არის 15–20 $მ^3$ დღ-ღ. ქიმ. შედგენილობა:



ტემპ-რა 13–17ºc. წყალში აღმოჩენილია ბიოლოგიურად აქტ. ზოგიერთი მიკროკომპონენტი (ბრომი, იოდი და სხვ.). 2012-მდე ხდებოდა მინერ. წყლის ჩამოსხმა (იხ. შპს „ზვარე”). „ზ-ს” იყენებენ საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებების (ქრონ. გასტრიტი, კოლიტი, პანკრეატიტი, ღვიძლისა და ნაღველმდენი გზების დაავადებანი და სხვ.) სამკურნალოდ და ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთი მოშლილობის (ალიმენტური სიმსუქნე, ნიკრისის ქარი, ოქსალურია, ფოსფატურია და სხვ.) დროს.

ტ. ჩიჩუა

ვ. ჯალიაშვილი

Image not found or type unknown